პროგრამის სახელწოდება: ხე-ტყის დამზადება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25-30 სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 230 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -5 მაქსიმალური -12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამის „ხე-ტყის დამზადება“ მიზანია კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ტყეში ხე-ტყის დამზადების სამუშაოების ორგანიზებას შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით, სამუშაო იარაღებისა და აღჭურვილობის მოვლას და გამოყენებას, ხის ჭრის პროცესის მომზადებას, ხის უსაფრთხოდ მოჭრას და მოჭრილი ხის გაწმენდას, დამზადებული ხე-ტყის დახარისხებას და ჭრის ნარჩენების განთავსებას, დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვას და სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. უსაფრთხოების წესების დაცვით სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება და მანქანა-იარაღების, სპეც ტექნიკის გამოყენება;
2. სამუშაოს ორგანიზება ხე-ტყის დამზადებისას;
3. ხის ჭრის პროცესის მომზადება;
4. ხის მოჭრა და მოჭრილი ხის გაწმენდა;
5. დამზადებული ხე-ტყის დახარისხება და ჭრის ნარჩენების განთავსება;
6. დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა და სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამა „ხე-ტყის დამზადება“ შემუშავებულია შრომის ბაზრისა და ეროვნულ დონეზე სექტორთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა განკუთვნილია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომელსაც სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს ის ცოდნა და უნარი, რაც საჭიროა ტყეში უსაფრთხოდ ხის მოჭრისთვის, მოჭრილი ხის დამუშავებისა და ტყიდან გამოზიდვისთვის.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას, კვირაში საშუალოდ 25-30 საათის ოდენობით, ჯამში პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის გათვალისწინებით 230 საათია.

პროფესიული მომზადების პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით. კერძოდ, სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში პარტნიორ ორგანიზაციასთან - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური - გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებული ტყის ტერიტორიაზე (ხე-ტყის დამზადების ტყეკაფებში).

პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება ინტერაქციული ლექციის, დემონსტრირებისა და პრაქტიკული მეცადინეობის გზით.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა) ჩატარდება პროგრამის ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების ცოდნა-უნარები პრაქტიკული დავალება დაკვირვებით გზით.

პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები და შეეძლებათ დასაქმება ტყის მართვის ორგანოებში, ხე-ტყის დამზადების და სხვა დარგობრივი მიმართულების კომპანიებში.